ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1735823

ნომერი: AR1284828

თარიღი : 09.02.2015

გაცემის თარიღი : 16.02.2015

გაცნობის თარიღი : 16.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , N 35ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ასათაშვილი პ/ნ 01007003262
- თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 48 ბ. 102

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ თავდაპირველი საკადასტრო ერთეულის გამიჯვნის შედეგად წარმოიქმნა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით კონფიგურაციით შეუსაბამო მიწის ნაკვეთი. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მისი დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარება არ არის მისაღები. მიზანშეწონილია თავდაპირველი სახით მიწის ნაკვეთების გაერთიანება მათი ერთობლივი სამშენებლო განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს განცხადებას, რომლითაც ითხოვთ შეუსაბამო ობიექტის სამშენებლო განვითარებას. თქვენი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე (N 01.19.21.001.203) მიწის ნაკვეთთან გაერთიანებისა და ტერიტორიის გაფართოვების შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს ახალი მოთხოვნის ფარგლებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.